



მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი  
წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა

ქ. ბათუმი

2023 წელი

# მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა

## თავი I. მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სკოლა არის ადგილი, სადაც რეალიზდება ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება - განათლების უფლება. მხოლოდ სკოლის მოსწავლის სტატუსის მოპოვება არ არის საკმარისი ამ უფლების დასაცავად. სკოლა ვალდებულია ყოველდღიურად იზრუნოს თითოეული ბავშვის უფლებების დაცვაზე.
2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა.

სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის მიზნით:	<ul style="list-style-type: none"><li>✓ სკოლას აქვს შინაგანაწესი;</li><li>✓ სკოლას აქვს შემუშავებული საჩივრების განხილვის წესი;</li><li>✓ სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;</li><li>✓ სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;</li><li>✓ სკოლის ჰყავს ექთანი;</li><li>✓ სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი;</li><li>✓ თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;</li><li>✓ სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმი.</li></ul>
--	---

3. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება ჰქონდეს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო.

## მუხლი 2. მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერი უფლებები

1. მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი/სკოლის დირექცია ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა.
2. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს.
3. თითოეული მოსწავლის მშველთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

## მუხლი 3. სკოლის შინაგანაწესი

1. თითოეულ მოსწავლე და მისი მეურვე ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს;
2. მოსწავლეებსა და მათ მეურვეებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი/დირექცია გაცნობს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
3. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს:

<b>თითოეულ მოსწავლეს ან მის მშობელს/მეურვეს უფლება აქვს:</b>	<b>მოსწავლეს უფლება აქვს:</b> <ul style="list-style-type: none"><li>➤ მიიღოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება;</li><li>➤ ჰქონდეს სწავლისათვის საჭირო პირობები და გარემო;</li><li>➤ მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლისაგან/სკოლისაგან საკუთარი აკადემიური მოსწრების შესახებ;</li><li>➤ მიიღოს სათანადო კონსულტაცია და მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;</li><li>➤ თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;</li><li>➤ ხელშეუხებელი იყოს მისი რელიგიური თავისუფლება;</li><li>➤ დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;</li><li>➤ არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ;</li></ul>
--	---

	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას ან მოსწავლის სიცოცხლეს;</li> <li>➤ ფლობდეს ინფორმაციას სკოლის მიერ მოსწავლის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;</li> <li>➤ სკოლის დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის პერსონალის ან სხვა მოსწავლის ან სხვა მოსწავლის მეურვის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;</li> <li>➤ დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;</li> <li>➤ იცნობდეს სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;</li> <li>➤ სკოლის მიერ დადგენილი წესების დაცვით შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლის ბიბლიოთეკით;</li> <li>➤ სკოლის დირექციასთან შეთანხმებით სკოლის მიერ დადგენილი წესით ისარგებლოს სკოლის სხვა სივრცეებით: სპორტული მოედანი, საკონფერენციო დარბაზი, კაფეტერია და სხვა.</li> <li>➤ თავისუფლად შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით სკოლის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, ასევე ამ შეკრებაზე მიიწვიონ სხვა პირი;</li> <li>➤ შექმნას სასკოლო კლუბები, მოსწავლეთა თვითმმართველობა ან სხვა გაერთიანება.</li> </ul> <p>მშობელს/მეურვეს უფლება აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მოითხოვოს სკოლის შენობაში შესვლა სკოლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ან განსხვავებულ პერიოდში სკოლის დირექციასთან შეთანხმებით;</li> <li>➤ მოითხოვოს ინდივიდუალური შეხვედრა მასწავლებელთან, სკოლის დირექციის წარმომადგენელთან, სკოლის ფსიქოლოგთან, სკოლის ექთანთან;</li> <li>➤ ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომების შესახებ.</li> </ul>
--	--

#### მუხლი 4. სასკოლო კურიკულუმი

1. ყველა მოსწავლესა და მის მეურვეს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო კურიკულუმს. სასკოლო კურიკულუმი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე ( <https://taoba.edu.ge/> )
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ყოველწლიურად, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლა თაობას სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენს „მოსწავლე სუბიექტის” პარადიგმის, პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს. კურიკულუმით

უზრუნველყოფილია მოსწავლეებისთვის ნაცნობ/საინტერესო შინაარსობრივ კონტექსტში ცნებების გააზრებით/მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებით და ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობით, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების „გზა“. ესე იგი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას კურიკულუმი მიემართება ცნებების გააზრებასა და ფუნქციური უნარების განვითარებას; კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, მიემართება მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. სსსმ მოსწავლის ან სხვა მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება მეურვესთან;

4. სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში მოსწავლეს და მის მეურვეს უფლება აქვს:

<p><b>თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ წინასწარ მოითხოვოს შეფასების კრიტერიუმები;</li> <li>➤ შემაჯამებელი დავალების შესახებ ინფორმაცია მიიღოს მინიმუმ ერთი კვირით ადრე, ასევე იცოდეს რა კრიტერიუმებზე იქნება შემაჯამებელი შეფასება აგებული;</li> <li>➤ მოითხოვოს მასწავლებლის ჩართულობა შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის პროცესში;</li> <li>➤ დააფიქსიროს პოზიცია (დაეთანხმოს ან უარი განაცხადოს) სკოლის მიერ შეთავაზებულ დამატებითი საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო მომსახურების მიღებას;</li> <li>➤ მოითხოვოს სემესტრული გამოცდა სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;</li> <li>➤ საშემოდგომო გამოცდის დაძლევის მიზნით მოითხოვოს კონსულტაცია;</li> <li>➤ კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შინ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში მოითხოვოს შინ სწავლება მისთვის მისაღები ფორმით: პირისპირ ან დისტანციურად;</li> <li>➤ მიიღოს მონაწილეობა სკოლის მიერ ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში.</li> </ul>
---	---

5. სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში მოსწავლეს არ აქვს უფლება უარი თქვას რომელიმე სავალდებულო საგნის სწავლებაზე.

6. მოსწავლეს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაძლეული კლასის განმეორებით გავლა.

## მუხლი 5. სხვა უფლებები

1. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს:

<p><b>თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ იცნობდეს სკოლის წლიურ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმას;</li> <li>➤ იყოს დასაქმებული საქართველოს შრომის კოდექსით არასრულწლოვანისთვის განსაზღვრული პირობებით;</li> <li>➤ მოსწავლემ საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სკოლის ექთანს;</li> <li>➤ მოსწავლემ საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სკოლის ფსიქოლოგს;</li> </ul>
---	--

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლისგან დამოუკიდებლად მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს;
- სკოლის მიერ საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სკოლა თაობა განუხრელად იცავს რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს. სკოლის სასწავლო პროცესში დაუშვებელია რელიგიური ინდოქტრინაცია და პროპაგანდა. სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.
3. მეურვეს არ აქვს უფლება დაწყებით და საბაზო განათლებას ჩამოაშოროს არასრულწლოვანი.
4. მეურვეს არ აქვს უფლება უგულვებლყოს მოსწავლის საბაზისო საჭიროებები.

**მუხლი 6. სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება**

1. იმ შემთხვევაში თუ სკოლის დირექტორის, ან სკოლის დისციპლინური კომიტეტის მიერ მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია ქალაქ ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ.
2. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ.
3. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ.
4. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**თავი II. სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები**

**მუხლი 7. ზოგადი დებულებები**

1. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.

## მუხლი 8. სკოლის შინაგანაწესი

1. სკოლაში დასაქმებული ყველა პირი ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
2. თითოეულ დასაქმებულს უფლება აქვს:

თითოეულ დასაქმებულს უფლება აქვს	<ul style="list-style-type: none"><li>➤ იცნობდეს სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;</li><li>➤ სკოლის დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის სხვა პერსონალის ან რომელიმე მოსწავლის ან რომელიმე მოსწავლის მეურვის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;</li><li>➤ დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;</li><li>➤ თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;</li><li>➤ ხელშეუხებელი იყოს მისი რელიგიური თავისუფლება;</li><li>➤ ფლობდეს ინფორმაციას მის შესახებ რომელი პერსონალური მონაცემი მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;</li><li>➤ არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ;</li><li>➤ არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას;</li><li>➤ ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით;</li><li>➤ შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლის სივრცეებით: სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, კაფეტერია და ა.შ.</li><li>➤ თავისუფლად შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით სკოლის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;</li><li>➤ ფლობდეს ინფორმაციას წლიური სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესახებ.</li></ul>
---------------------------------	--

## მუხლი 8. სასკოლო კურიკულუმი

1. სკოლის ყველა პერსონალს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო კურიკულუმს. სასკოლო კურიკულუმი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე ( <https://taoba.edu.ge/> ) გამონაკლისს წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს.
2. მასწავლებელს უფლება აქვს:

**მასწავლებელს უფლება აქვს:**

- ობიექტური მიზეზების გამო უარი თქვას მოსწავლის შინ სწავლებაზე პირისპირ მეთოდით;
- მიმართოს სკოლის დირექციას შესაბამისი სასწავლო რესურსების (თვალსაჩინოება, დამატებითი სახელმძღვანელო, მეთოდური რესურსი) შეძენის მოთხოვნით;
- აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შევსებული 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.

**მუხლი 9. სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება**

1. იმ შემთხვევაში თუ სკოლის დირექტორის, ან სკოლის დისციპლინური კომიტეტის მიერ სკოლის მასწავლებლის ან სკოლის ნებისმიერი სხვა პერსონალის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ პირს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია ქალაქ ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ.
2. თითოეულ მასწავლებელს ან სკოლის ნებისმიერი სხვა პერსონალს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ.
3. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ.
4. თითოეულ მასწავლებელს ან სკოლის ნებისმიერი სხვა პერსონალს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 10. დოკუმენტში ცვლილების შეტანის წესი**

1. სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტს ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. დოკუმენტში ცვლილების შეტანა ხდება სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით.